საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის
ოქმი N 3

ქ. თბილისი, 13.05.2020.

დისტანციურ სხდომას ესწრებოდნენ: ამირხანაშვილი ივანე, ანანიაშვილი იური, ბერულავა გიორგი, გოგიაშვილი ლიანა, ებრალიძე თამარ, ლომინაძე გიორგი, ნადარაია ელიზბარ, ოკრიბელაშვილი ნინო, სალუქვაძე იოსებ, შალიკაშვილი მორის, შენგელაია ალექსანდრე, ხუციშვილი ქეთევან, ჯობავა თამარ.

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ **ნინო თოდუას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგიის“ დოქტორანტ **ეთერ ჭურაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.
3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ დოქტორანტ **ანა ნუსხელიძის** დისერტაციის დაცვის განსხვავებული რეგლამენტის დამტკიცება.
4. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ილია წიკლაურის** სადისერტაციო ნაშრომის მესამე რეცენზენტის დამტკიცება.
5. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ზოია ხასიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
6. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **მარიანა თავაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
7. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **გრიგოლ ჩხაიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
8. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **გიორგი მირიანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.

9. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობების“ დოქტორანტ **ნატა გარაყანიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
10. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგის“ დოქტორანტ **ეკატერინე გოგალაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
11. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **ნინო თებიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
12. მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინის“ დოქტორანტ **ოთარ კეპულაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის დამტკიცება.
13. სადისერტაციო ნაშრომების დისტანციური დაცვის საკითხზე მსჯელობა.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი და წამოაყენა წინადადება, მე-13 საკითხის - სადისერტაციო ნაშრომების დისტანციური დაცვის საკითხზე მსჯელობა - დამატების თაობაზე.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ მან განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი შეთანხმებული სახით.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ნინო თოდუას** სადისერტაციო ნაშრომის - „პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული დრამატურგია“ - დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თსუ-ს შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომლის, მაია ჯალიაშვილის, ინფორმაცია დისერტაციის დაცვის პროცედურის და ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი, არ ესწრებოდა - 1.
აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაია დაინტერესდა, იყო თუ არა საკვლევი საკითხი ამ დრომდე გამოკვლეული.
მოისმინეს: მაია ჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ სახით ასეთი ფუნდამენტური გამოკვლევა არ შესრულებულა. დოქტორანტმა გამოიკვლია მიმდინარე პროცესები. დრამატურგიაზე

წერა რთულია, მაგრამ დისერტანტმა თანამედროვე დრამატურგებზე დაწერა და პოსტმოდერნისტულ ჭრილში განიხილა.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაია დაინტერესდა დოქტორანტის გამოქვეყნებული შრომებით და დასვა კითხვა - რატომ არ ქვეყნდება სტატიები აკადემიიის შრომებში?

მოისმინეს: მაია ჯალიაშვილმა ჩამოთვალა დოქტორანტ ნინო თოდუას მიერ გამოქვეყნებული ყველა შრომა. მან აღნიშნა, რომ აკადემიის შრომებში სტატიის გამოუქვეყნებლობას ხელი არ შეუშლია დოქტორანტისთვის, თუმცა სამომავლოდ სავარაუდოდ იფიქრებს გამოქვეყნებას.

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები აკმაყოფილებს ფაკულტეტის დადგენილ მოთხოვნებს და მიმართა მაია ჯალიაშვილს, დაესრულებინა საუბარი დისერტაციის დაცვის პროცედურის მიმდინარეობის თაობაზე.

მოისმინეს: მაია ჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ რეცენზენტებმა წარმოადგინეს რეცენზიები, ხოლო დოქტორანტმა უპასუხა მათ შენიშვნებს. დაცვაზე შემდეგ მოუსმინეს დაცვის კომისიის წევრების მოსაზრებებს. დისერტაცია შეფასდა 96 ქულით.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ მიმართა კითხვით - ლიტინფო ინტერნეტ-ჟურნალია? რომელიმე გამოცემა თუ არის იმპაქტ-ფაქტორიანი?

მოისმინეს: მაია ჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ ლიტინფო ონლაინ-ჟურნალია და მგონი აქვს იმპაქტ-ფაქტორი.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ მიმართა კითხვით - სასწავლო კურსის შესაქმნელად თუ გამოდგება ეს ნაშრომი?

მოისმინეს: მაია ჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ნაშრომია და დოქტორანტი გეგმავს დისერტაციის წიგნად გამოცემას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ნინო თოდუასთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ეთერ ჭურაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მდივნის, ფილოლოგიის დოქტორ, ინგა ადამიას ინფორმაცია დისერტაციის - „ერნესტ ჰემინგუეის მცირე პროზის ტრანსფორმაცია ქართულ თარგმანში“ - დაცვის პროცედურის და ნაშრომის სამეცნიერო ღირებულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაცვას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი. კვლევები

ჩატარდა უცხოეთშიც, კერძოდ, ლოძის და ლიდსის უნივერსიტეტებში. შესწავლილია ერნესტ ჰემინგუეის მცირე პროზა. დოქტორანტმა წარმოადგინა ძალიან ფართო მასალა, სადაც ნათლად ჩანს თეორიული და პრაქტიკული შეპირისპირება. დისერტაციის ნაწილები გამოქვეყნებულია რამდენიმე ჟურნალში - სპეკალში, სამეცნიერო ძიებანი. რეცენზენტებმა წარმოადგინეს დადებითი რეცენზიები. ნაშრომი შეფასდა 99 ქულით.

აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაია დაინტერესდა, თუ რას ემსახურებოდა პოლონეთში კვლევა? საქართველოში არ შეიძლებოდა ამის გაკეთება?

მოისმინეს: ინგა ადამიამ აღნიშნა, რომ დოქტორანტი კვლევის მიზნით იყო პოლონეთშიც და ინგლისშიც; თუმცა კვლევა ძირითადად საქართველოში ჩატარდა, ქართულ თარგმანებზე დაყრდნობით.

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, უცხოეთის უნივერსიტეტის შერჩევისას, ყურადღება გამახვილდა ლოძის უნივერსიტეტის პროფესორზე, რომელიც გაუწევდა ხელმძღვანელობას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **ეთერ ჭურაძისთვის** ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ დოქტორანტ **ანა ნუსხელიძის** დისერტაციის დაცვის რეგლამენტი.

მოისმინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელმა თამარ ჭელიძემ აღნიშნა: განსხვავება ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ დოქტორანტს ჰყავს ორი ხელმძღვანელი, გაიცემა ორი დიპლომი, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიაში თანაბარი რაოდენობით იქნება წარმოდგენილი ორივე მხარე, უცხოელ წევრებს შეეძლებათ დისტანციურად ჩართვა, ამ შემთხვევაში ხმის მიცემა მოხდება ელფოსტით, რეცენზენტი წერს ქულას.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ აღნიშნა, რომ ანა ნუსხელიძე იყო კარგი სტუდენტი.

აზრი გამოთქვა: იოსებ სალუქვაძე დაინტერესდა დისერტაციის დაცვის ენით.

მოისმინეს: თამარ ჭელიძემ აღნიშნა, რომ დისერტაციის დაცვის ენა იქნება ინგლისური.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე დამტკიცდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ დოქტორანტ ანა ნუსხელიძის დისერტაციის დაცვის რეგლამენტი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ილია წიკლაურის** სადისერტაციო ნაშრომის მესამე რეცენზენტი.
მოისმინეს: მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ერთი რეცენზენტის რეცენზია იყო დადებითი, მეორესი - უარყოფითი. შესაბამისად, ფაკულტეტის საბჭოს მიერ შეირჩა მესამე რეცენზენტი.
აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაია დაინტერესდა მესამე რეცენზენტის ვინაობით.
მოისმინეს: მორის შალიკაშვილმა უპასუხა, რომ მესამე რეცენზენტი არის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი.
აზრი გამოთქვა: ლიანა გოგიაშვილი დაინტერესდა სადისერტაციო ნაშრომის სათაურით.
მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა მოახსენა, რომ თემის სათაურია - „საგადასახადო დავების განხილვის ქართული მოდელის პრობლემები და მისი რეფორმირების ძირითადი ასპექტები“, ხოლო ხელმძღვანელი - პაატა ტურავა, თსუ-ს პროფესორი.
კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ ილია წიკლაურის სადისერტაციო ნაშრომის მესამე რეცენზენტად - თამარ ღვამიჩავა - თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტების - **ზოია ხასიას, მარიანა თავაძის, გრიგოლ ჩხაიძის, გიორგი მირიანაშვილის** - რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების სია.
აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაიამ აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიებში უმცირესობაში არიან თსუ-ს წარმომადგენლები.
აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიების შემადგენლობა შერჩეულია არა მხოლოდ თეორეტიკოსი იურისტებით, არამედ - პრაქტიკოსებითაც; ეს მნიშვნელოვანია. ასევე რეცენზენტებად და დაცვის

კომისიებში არიან თსუ-ს ყოფილი დოქტორანტები და თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორები.

აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაიამ აღნიშნა, რომ დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში პროპორციები არაა განსაზღვრული; თუ თსუ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, დაცვის კომისიის წევრების უმრავლესობა თსუ-დან უნდა იყოს.

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ პროპორციები არაა დადგენილი, განსაზღვრულია 7-ზე ნაკლები წევრი რომ არ უნდა იყოს დაცვის კომისიაში და აუცილებლად უნდა იყვნენ სფეროს წარმომადგენლები.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ აღნიშნა, რომ იზიარებს ალექსანდრე შენგელაიას მოსაზრებას.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ უმჯობესია სხვა უსდ-ებმა ნახონ რა ხარისხის დისერტაციების დაცვა ხდება ჩვენთან.

აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაიამ აღნიშნა, რომ მაგ.: ტექნიკური უნივერსიტეტის პერსონალმა არ უნდა მიანიჭოს აკადემიური ხარისხი თსუ-ს დოქტორანტს.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ აღნიშნა, რომ დაცვის კომისიის შერჩევისას სასურველია დაცული იყოს პროპორციები.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილი დაინტერესდა, თუ რომელი დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია იყო პრობლემური?

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ზოია ხასიას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიაში 3 წევრი არის თსუ-დან, ხოლო 4 - სხვა უსდ-ებიდან. დანარჩენი დოქტორანტების შემთხვევაში - თსუ-ს აკადემიური პერსონალი წარმოადგენს უმრავლესობას.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ზოია ხასიას სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი ბაჩანა ჯიშკარიანი - თსუ-ს მოწვეული ლექტორია, ქეთევან მჭედლიშვილი-ჰენდრიხი - გერმანიიდან ჩამოდის და თსუ-ში კითხულობს ლექციებს.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაია დაინტერესდა, თუ რატომ იყო ამ საკითხზე კამათი.

აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ აღნიშნა, რომ სასურველია იურიდიულმა ფაკულტეტმა მომავლისთვის გაითვალისწინოს სადისერტაციო საბჭოს მოსაზრება.

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ მორის შალიკაშვილის განმარტებები მნიშვნელოვანია. სასურველია, ფაკულტეტმა წარდგინებაში მიუთითოს სხვა უსდ-ების წარმომადგენლების ასევე თსუ-ში მოწვევის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ ერთად ეყაროს კენჭი იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტების - **ზოია ხასიას, მარიანა თავაძის, გრიგოლ ჩხაიძის, გიორგი მირიანაშვილის** - სადისერტაციო ნაშრომების რეცენზენტების და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცებას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დადგინეს:

1) დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **ზოია ხასიას** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით (თემა: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მოპყრობის სტანდარტები და პრაქტიკა სასჯელაღსრულების სისტემაში“, ხელმძღვანელი - მაია ივანიძე, თსუ-ს პროფესორი).

რეცენზენტები:

ა) მორის შალიკაშვილი - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) მარინა მესხი - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ლალი ფაფიაშვილი - თსუ-ს პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) ირა აქუბარდია - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

გ) გიორგი დგებუაძე - თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი;

დ) იოსებ ვარძელაშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ე) ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ვ) ბაჩანა ჯიშკარიანი - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ზ) ბექა ძამაშვილი - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

2) დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **მარიანა თავაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით (თემა: „იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა“, ხელმძღვანელი - თევდორე ნინიძე, თსუ-ს პროფესორი).

რეცენზენტები:

ა) მიხეილ ბიჭია - სამართლის დოქტორი;

ბ) თამარ ლაკერბაია - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ბესარიონ ზოიძე - თსუ-ს პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) ირაკლი ბურდული - თსუ-ს პროფესორი, სამართლის დოქტორი;

გ) თამარ ზარანდია - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

დ)გიორგი მახარობლიშვილი - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ე) ნათია ჩიტაშვილი - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ვ) გიორგი ცერცვაძე - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ზ) გიორგი სვანაძე - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

3) დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **გრიგოლ ჩხაიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით (თემა: „დასაბეგრი ოპერაციები ევროკავშირის დამატებული ღირებულების გადასახადის სამართალში და საქართველოს გამოწვევები“, ხელმძღვანელი - მაია კოპალეიშვილი, თსუ-ს პროფესორი).

რეცენზენტები:

ა) ზვიად როგავა - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) ირაკლი გაბისონია - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ირმა ხარშილაძე - თსუ-ს პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) პაატა ტურავა - თსუ-ს პროფესორი, სამართლის დოქტორი;

გ) კახაბერ ურიადმყოფელი - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;

დ) თამარ ღვამიჩავა - თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ე) თამარ გვარამაძე - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ვ) კობა ყალიჩავა - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ზ) ეკატერინე ქარდავა - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი.

4) დამტკიცდეს იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „სამართალი“ დოქტორანტ **გიორგი მირიანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით (თემა: „ევროპის საბჭოსა და ევროპული კავშირის ფარგლებში არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის კოლიზიური სტანდარტები ექსტრადიციის სფეროში“, ხელმძღვანელი - გიორგი თუმანიშვილი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი).

რეცენზენტები:

ა) გიორგი დგებუაძე - თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) ბაჩანა ჯიშკარიანი - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) მაია ივანიძე - თსუ-ს პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ბ) მერაბ ტურავა - თსუ-ს პროფესორი, სამართლის დოქტორი;

გ) ლალი ფაფიაშვილი - თსუ-ს პროფესორი, სამართლის დოქტორი;

დ) გიორგი შაშიაშვილი - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ე) ირაკლი დვალიძე - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ვ) ანა ფირცხალაშვილი - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი;

ზ) ლევან ხარანაული - თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ დოქტორანტ **ნატა გარაყანიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისიის წევრები.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დადგინეს: დამტკიცდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობების“ დოქტორანტ ნატა გარაყანიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით (თემა: „ენერგორესურსები და პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა”, სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე თურმანიძე - თსუ პროფესორი).

რეცენზენტები:

ა) ზურაბ დავითაშვილი - პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი.

ბ) ნიკა ჩიტაძე - გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი.

გ) ოქტაი ფირათ ტანრისევერი - პროფესორი, დოქტორი რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევებში, თურქეთის შუა აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) ფიქრია ასანიშვილი - პოლიტიკის დოქტორი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ბ) ეკა აკობია - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

გ) კორნელი კაკაჩია - პოლიტიკის დოქტორი, თსუ პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტის პროფესორი.

დ) დავით მაცაბერიძე - პოლიტიკის დოქტორი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ე) ნიკოლოზ სამხარაძე - საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

ვ) ლაშა ძებისაშვილი - პოლიტიკის დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ზ) გიორგი გვალია - პოლიტიკის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ **ეკატერინე გოგალაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტების და დაცვის კომისიის წევრები. მან ასევე აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოზე იყო მსჯელობა იმასთან დაკავშრებით, რომ რეცენზენტად შერჩეული იყო ირანისტიკის კათედრის ასოც. პროფესორი, ხოლო დაცვის კომისიის წევრებად იგივე კათედრის 3 აკადემიური პერსონალი; ანუ იმ კათედრის, რომელზეც შესრულდა დისერტაცია. თუმცა, რადგან ეს აკრძალვა არაა თსუ-ს სამართლებრივ აქტებით, შესაბამისად, შეგვიძლია დავამტკიცოთ რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი სახით.

აზრი გამოთქვა: იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ თუ კათედრის ერთი წევრი ხელმძღვანელობს, მეორე - წერს რეცენზიას, დანარჩენები არიან დაცვის კომისიაში, ეს წარმოუდგენელია. პატარა ჯგუფმა არ უნდა გადაწყვიტოს აკადემიური ხარიხის მინიჭების საკითხი.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ სფერო იმდენად ვიწროა, შეიძლება ვერ მოიძებნენ კანდიდატურები. თუ რაიმე კონკრეტული ეჭვია, რომ ვინმე მიკერძოებულად მოიქცევა, მაშინ შეიძლება განვიხილოთ ეს საკითხი.

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ არანაირი ეჭვის საფუძველი არ არსებობს ამ შემთხვევაში.

აზრი გამოთქვა: იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ კეთისინდისიერების პრეზუმფცია გვაქვს ყველას. ჩვენ თუ ამ მიმართულებით წავედით, რომ ერთ მიმართულებაზე მოხდეს ხელმძღვანელობა, რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების შერჩევა, წარმოუდგენელია. დისერტაცია შესაფასებლად უფრო ფართოდ უნდა იყოს გატანილი. ესაა ლოგიკა. ყველაფერი ფორმალური გახდება ეს თუ არ გავითვალისწინეთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაზე არ მაქვს პრობლემა, მაგრამ ამ კუთხით რეგულაციებში ცვლილება უნდა განხორციელდეს.

აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაიამ აღნიშნა - ქეთევან ხუციშვილს რომ არ წამოეყენებინა ეს საკითხი განსახილველად, საბჭოს წევრები ვერც გაიგებდნენ ამის თაობაზე.

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული დისკუსიის თაობაზე ფაკულტეტს მიაწვდის ინფორმაციას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დადგინეს: დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფილოლოგია“ დოქტორანტ ეკატერინე გოგალაძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისია წარმოდგენილი შემადგენლობით (თემა: „ფატიკური კომუნიკაცია და სამეტყველო ეტიკეტი სპარსულსა და ქართულში"; ხელმძღვანელი: მანანა კვაჭაძე - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი).

რეცენზენტები:

ა) ფატმან ანთაძე-მალაშხია - თსუ ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;

ბ) შუქია აფრიდონიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) თეა შურღაია - თსუ ასოც. პროფესორი, ირანისტიკის კათედრის ხელმძღვანელი, დოქტორი;
ბ) მარინა ალექსიძე - თსუ ასოც. პროფესორი, დოქტორი;
გ) ლილი ჟორჟოლიანი - თსუ მოწვეული ლექტორი, ფილოლოგიის დოქტორი;
დ) მზია ბურჯანაძე - თსუ ასოც. პროფესორი, დოქტორი;
ე) ნომადი ბართაია - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი;
ვ) ქეთევან მეგრელიშვილი - ფილოლოგიის დოქტორი;
ზ) ალექსანდრე ჭულუხაძე - საქართველოს უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

მოისმინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტების - **ნინო თებიძის** და **ოთარ კეპულაძის -** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისიის წევრები.
მოისმინეს: დალი კანდელაკმა მოახსენა დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების თაობაზე, რომლის შესახებ ინფორმაცია სრულყოფილად არ იყო გამოგზავნილი ფაკულტეტის მიერ დღის წესრიგის პროექტის გამოგზავნამდე.
აზრი გამოთქვა: ლიანა გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ ოთარ კეპულაძის დისერტაციის სათაურში - „მკურნალობის ქირურგიული მეთოდების ოპტიმიზაცია კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებების დროს“ - შესაცვლელია სიტყვა “კუჭუკანა ჯირკვალი“, რომელიც აღარ იხმარება. დღეს უფრო ხმარობენ - „პანკრეასი“.
აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ მოითხოვა ხელმძღვანელების განმარტება.
აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს არ ჰქონდა სათაურის ცვლილების უფლება.
აზრი გამოთქვა: იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ თუ სათაურშია ასეთი შეცდომა, დისერტაციაში შეიძლება უფრო მეტი შეცდომა იყოს, რასაც ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ. მივაწოდოთ ცნობად ფაკულტეტს. მათ აქვთ უფლება არ გაითვალისწინონ ჩვენი რეკომენდაცია. მაშინ რას ვშვებით ჩვენ?
აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს შესთავაზა, ოთარ კეპულაძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცების საკითხის განუხილველად დატოვების და მხოლოდ ნინო თებიძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცების საკითხის განხილვის შესახებ.
აზრი გამოთქვა: ლიანა გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ არსებობს საერთაშორისო ნომენკლატურა, როგორ უნდა დაწეროს. დოქტორანტმა გაასწოროს თემის სათაური და ისე წარადგინოს დისერტაცია თავიდან ფაკულტეტზე. ის ფაკულტეტის დეკანს, ბატონ დიმიტრი კორძაიას შეატყობინებს სათაურის ჩასწორების თაობაზე.
მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა მედიცინის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ დიმიტრი კორძაიას (ჩაერთო დისტანციურ სხდომის მიმდინარეობაში) გააცნო ვითარება ოთარ

კეპულაძის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცების საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა: დიმიტრი კორძაიამ აღნიშნა, რომ მართალია ქალბატონი ლიანას შენიშვნა, თუმცა სიტყვა - „კუჭუკანა“ - მაინც ფართოდ იხმარება. ოფიციალური არის - პანკრეასი. ქართულ ჟურნალში - "ქირურგია“ - ეს ტერმინი იხმარება, თუმცა პანკრეასი ჯობია, ეს ხსნის ყველა პრობლემას. მომავალ კვირაში თქვენი რეკომენდაციის საფუძველზე შეიცვლება დისერტაციის სათაური ფაკულტეტის საბჭოზე. გთხოვთ, დაამტკიცოთ რეცენზენტები და დაცვის კომისია. დოქტორანტის მიერ შეიცვლება ეს ტერმინი და დისერტაცია ისე გაიგზავნება რეცენზენტებთან.

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, სასურველია პროცედურას ჰქონდეს შემდეგი სახე: როცა მოდის ფაკულტეტებიდან საკითხი სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტებისა და დაცვის კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ და საბჭოს ეგზავნება დღის წესრიგი, გავეცნოთ და სხდომამდე დავუკავშირდეთ სადისერტაციო საბჭოს აპარატს, რომელიც შესაბამის ფაკულტეტს მიაწვდის ჩვენს მოსაზრებას თემის სათაურთან დაკავშირებით, ხოლო ისინი გვაცნობენ საკუთარ მოსაზრებას.

კენჭისყრა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დადგინეს:

1) დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ნინო თებიძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისიის წევრები წარმოდგენილი შემადგენლობით (თემა: „სტომატოლოგიური სტატუსის ზეგავლენა ონკოინკურაბელური პაციენტების პალიატიური მზრუნველობის დაგეგმვასა და სიცოცხლის ხარისხზე“; ხელმძღვანელი: ვლადიმერ მარგველაშვილი - თსუ ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; მემედ ჯინჭარაძე - ბათუმის მაღალტექნოლოგიური კლინიკის „მედცენტრის“ ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი):

რეცენზენტები:

ა) ნატალია მანჯავიძე - მედიცინის დოქტორი, თსუ თერაპიული სტომატოლოგიის კათედრაასოცირებული პროფესორი;

ბ) მიხეილ შავდია - მედიცინის დოქტორი, თსსუ ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:

ა) გიორგი მენაბდე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ - ქირურგიული სტომატოლოგიის კათედრის გამგე;

ბ) ქეთევან გოგილაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თსუ - თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის გამგე;

გ) მანანა კალანდაძე - მედიცინის დოქტორი, პროფესორი, თსუ - ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის კათედრის გამგე;

დ) შალვა ფარულავა - მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ - ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრა;
ე) ოთარ დაჯანია - მედიცინის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, თსუ - ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის კათედრა;
ვ) სიმონ დალაქიშვილი - მედიცინის დოქტორი, თსუ - ა. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ზ) ელენე ჯანბერიძე - მედიცინის დოქტორი, თსუ - ა. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის დეპარტამენტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
თ) თამარ რუხაძე - მედიცინის დოქტორი, პროფესორი, თსუ - მედიცინის ფაკულტეტის ონკოლოგიის და პალიატიური მზრუნველობის კათედრის გამგე;
ი) რემა ღვამიჩავა - მედიცინის დოქტორი, პროფესორი, თსსუ - ონკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2) დამტკიცდეს მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“ დოქტორანტ **ოთარ კეპულაძის** სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტები და დაცვის კომისიის წევრები წარმოდგენილი შემადგენლობით (თემა: „მკურნალობის ქირურგიული მეთოდების ოპტიმიზაცია კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებების დროს“; ხელმძღვანელი: მერაბ კილაძე - თსუ კლინიკური ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; მალხაზ მიზანდარი - თსსუ-ის რადიოლოგიის მიმართულების ინტერვენციული რადიოლოგიის დეპართამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი, პროფესორი):
რეცენზენტები:
ა) ალექსანდრე ცალუღელაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კლინიკა „ნიუ-ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი“.
ბ) ერმალოზ ფხაკაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კლინიკა „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ დიაგნოსტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია:
ა) გია ლობჟანიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის პროფესორი;
ბ) ზურაბ ჩხაიძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის გადაუდებელი და კრიტიკული მედიცინის კათედრის პროფესორი;
გ) ომარ ღიბრაძე - მედიცინის დოქტორი, პროფესორი, ონკოლოგიის ცენტრი, ქუთაისის რეფერალური ჰოსპიტალის ქირურგი;
დ) მერაბ ჯანელიძე - მედიცინის დოქტორი, პროფესორი, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი, ჰეპატო-პანკრეო-ბილიარული ქირუგიის, ინტერვენციული ონკოლოგიისა და ტრანსპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ე) ამირან ანთაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;

ვ) ვლადიმერ გონჯილაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
ზ) ავთანდილ ღირდალაძე - მედიცინის დოქტორი, თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი;
თ) თამაზ ჩხიკვაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკის კლინიკური დირექტორი;
ი) გივი ჩიქობავა - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკა - „გიდმედის“ გენერალური დირექტორი;
კ) გელა არაბიძე - მედიცინის დოქტორი, კლინიკა „ვიტამედის“ სამედიცინო დირექტორი.

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის ცნობილი გახდა ერთი დოქტორანტის კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა დისერტაციის დისტანციურად დაცვას. დალი კანდელაკმა ელფოსტით ინიცირება გაუკეთა დისკუსიას აღნიშნულ საკითხზე. ჩართული იყვნენ ფაკულტეტების დეკანები, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრები. ცნობილია ის მოსაზრებები, რომელიც გამოიგზავნა. გამოვიკითხეთ, თუ რა შესაძლებლობები არსებობდა თსუ-ში დისერტაციების დისტანციური დაცვის ჩატარების და შეფასების კონფიდენციალურად დაწერის თაობაზე. საინფორმაციო დეპარტამენტისგან გვაქვს ინფორმაცია, რომ შესაძლებელია შეფასების დაწერა პირის იდენტიფიცირების გარეშე, ე.ი. ფარულობის დაცვით. ქვეყანაში არსებული აკრძალვები ჯერჯერობით არის 25 მაისამდე, საუბარია იმაზეც, რომ ივნისის ბოლოს ან ივლისში გამოცდები ჩატარდეს არა ონლაინ, არამედ თსუ საგამოცდო ცენტრში. რამდენიმე ფაკულტეტზე სკეპტიკურად უყურებენ დისერტაციის დისტანციურ დაცვას. არაა საუბარი უახლოეს დღეებში დაცვების ჩატარებაზე. საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭომ დააფიქსიროს თავისი პოზიცია. მე მგონია, რადგან 10 კაცის შეკრება არაა აკრძალული, შეიძლება წესების დაცვით, აუდიტორიაში შეიკრიბონ - კომისიის 7 წევრი, 2 რეცენზენტი, დოქტორანტი და ჩატარდეს დისერტაციის დაცვა.
აზრი გამოთქვა: თამარ ჯობავამ აღნიშნა, რომ ქვეყანაში თანდათან იხსნება შეზღუდვები. ჯობს, დისერტაციის დაცვის აუდიტორიაში ჩატარება. კითხვები ჩნდება დისტანციურ დაცვებთან დაკავშირებით და ეს გასათვალისწინებელია, რომ შემდგომ არ იყოს საჩივრები დოქტორანტების მხრიდან. დისერტანტები არ უნდა დაზარალდნენ.
აზრი გამოთქვა: იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე იყო ადრე ელფოსტით მიმოწერა. ახლა ეს საკითხი აღარაა აქტუალური. იყო სერიოზული ერთი არგუმენტი - ონლაინ დაცვებმა შეიძლება ხარისხი გააუარესოს. ამ არგუმენტს ვერ დავეთანხმები: დისერტაციის ხარისხი ვერ შეიცვლება. შეიცვლება - რიტუალი. თუ ასეთი საჭიროება დადგა, უნდა შევძლოთ. სხვა უსდ-ებში ტარდება დისტანციური დაცვები. დაველოდოთ, იმედია მოიხსნება შეზღუდვები და შევძლებთ დაცვები განხორციელდეს აუდიტორიაში.
აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ უზრუნველსაყოფია შეფასების კონფიდენციალობის ტექნიკურად გამართვა.
აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაიამ აღნიშნა, რომ ამის განხორციელება შეიძლება ტექნიკურად; თუ არაა მწვავე აუცილებლობა, მაშინ დაველოდოთ.

აზრი გამოთქვა: ლიანა გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ საგანგებო მდგომარეობა თუ მოიხსნება, მაშინ შესაძლებელი იქნება საჯარო დაცვა.

აზრი გამოთქვა: დალი კანდელაკმა საბჭოს შესთავაზა, რომ სადისერტაციო საბჭომ აღნიშნულ საკითხზე შეიმუშავოს და მისცეს რეკომენდაცია ფაკულტეტებს.

აზრი გამოთქვა: ქეთევან ხუციშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან განათლების სტრატეგიის დოკუმენტის მოლოდინში, სადაც ასახული უნდა იყოს უსდ-ების სამომავლო მოქმედების გეგმა. უმჯობესია, საბჭომ თავი შეიკავოს ფაკულტეტებისათვის რეკომენდაციის მიცემისგან.

აზრი გამოთქვა: ალექსანდრე შენგელაია დაინტერესდა, რატომ იხილავდნენ ისეთ საკითხს, რომელიც საბჭოს ფუნქციებში არ შედის.

აზრი გამოთქვა: ლიანა გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ თუ ძალიან გადაიდება საგანგებო მდგომარეობის მოხსნა და გართულებდა სიტუაცია, მაშინ აუცილებელი გახდება დისერტაციების დაცვის დისტანციურად ჩატარება.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ოქმში დაფიქსირდეს საბჭოზე ამ საკითხზე მსჯელობა. ეს პრობლემა ამ ეტაპზე მოუგვარებელია და მოლოდინის რეჟიმში ვართ, როდის მოიხსნება შეზღუდვები. იურიდიული ფაკულტეტის პოზიციაა, დისერტაციის დაცვები ჩატარდეს ონლაინ. ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა, რომ ზუმში ჩატარებული ლექციაც კი არაა იმ ხარისხის, რასაც პროფესორი აუდიტორიაში ატარებს. თუ იურიდიული ფაკულტეტი მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას, მე მხარს დავუჭერ მათ.

აზრი გამოთქვა: იოსებ სალუქვაძემ აღნიშნა ონლაინ დაცვის ჩატარების დადებითი მხარე - უცხოელი რეცენზენტის ჩართულობა.

მოისმინეს: ქეთევან ხუციშვილმა შეაჯერა საბჭოს პოზიცია - ამ ეტაპზე საბჭო ვერ ხედავს დისერტაციების დაცვის დისტანციურად ჩატარების საჭიროებას. Covid-19-თან მიმართებაში დღეს არსებული ვითარებით საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებულია 22 მაისამდე. თუ მოიხსნა საგანგებო მდგომარეობა და შერბილდა აკრძალვები სოციალური დისტანცირების თაობაზე, სავარაუდოდ, შესაძლებელი გახდება დისერტაციების დაცვის ჩატარება ჩვეულ რეჟიმში, ხოლო, თუ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის და აკრძალვების ძალაში დატოვების თაობაზე, შემდეგ ვიმსჯელოთ ონლაინ დისერტაციების დაცვის საკითხზე.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი



საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი